



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

2013 წლის ანგარიში



სარჩევი

თავი I. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.....	4
კომისიის შესახებ.....	4
ცვლილებები კომისიის შემადგენლობაში.....	5
კომისიის სტრუქტურა	5
კომისიის ბიუჯეტი	6
თავი II. განხორციელებული სამუშაოები	7
ინტერნეტით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევა და ანალიზი.....	7
მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურება.....	8
ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტები	9
თავისუფალი სიხშირული რესურსი	10
ციფრული მაუწყებლობა.....	10
მომხმარებელთა უფლებების დაცვა	12
საერთაშორისო საქმიანობა.....	13
სერტიფიცირება, სტანდარტიზაცია და კავშირის მომსახურების ხარისხი	17
სამართლებრივი საქმიანობა	18
ავტორიზაცია, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობა.....	21
სტატისტიკური ანგარიშგების ახალი ფორმა მაუწყებლებისთვის.....	22
წინასარჩევო მონიტორინგი.....	23
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამომიებო კომისიის საქმიანობა	23
ანალიტიკური პორტალი.....	24
საზოგადოებასთან ურთიერთობა.....	25
თავი III. ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის დარგების განვითარების ტენდენციების მიმოხილვა	25
მობილური კომუნიკაციები.....	29
ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციები.....	36
ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება.....	41
სატელეფონო ნომრების პორტაბელურობა	48
მაუწყებლობის ტრანზიტი	51
მაუწყებლობა	54
თავი IV. კომისიის შემდგომი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.....	56
ფართოზოლოვანი ქსელების დანერგვის ხელშეწყობა და კონკურენციის უზრუნველყოფა ...	57
რადიოსიხშირული რესურსის ეფექტიანი მართვა.....	58
ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე მიგრაციის ხელშეწყობა და ტელე-მაუწყებლობის ბაზრის რეგულირება.....	59
მომხმარებლების ინტერესების დაცვა და ადეკვატური ინფორმირების ხელშეწყობა.....	60
დანართები	61








დანართი 1. ტელერადიომუწყებლობის პრიორიტეტები.....	61
დანართი 2. FM სიხშირეთა თავისუფალი რესურსი	63
დანართი 3. სათემო რადიომუწყებლობისთვის თავისუფალი სიხშირული რესურსი	67
დანართი 4. კონკურსები	68
დანართი 5. დავები	69
დანართი 6. სანქცირება	70
დანართი 7. ავტორიზაცია	72
დანართი 8. ავტორიზაციის გაუქმება	75
დანართი 9. ლიცენზიების გაცემა.....	76
დანართი 10. ლიცენზიების გაუქმება	76
დანართი 11. ლიცენზიების მოდიფიცირება	76
დანართი 12. ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელება	77
დანართი 13. ლიცენზიების გადაცემაზე თანხმობის მიცემა/გადაპირება.....	78
დანართი 14. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვები.....	78
დანართი 15. აუდიტის დასკვნა	80

თავი I. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

კომისიის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მუდმივმოქმედ, ეროვნულ სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოს. კომისია კოლევიალური ორგანოა და შედგება ხუთი წევრისგან. კომისია, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხმათა უმრავლესობით, იღებს დადგენილებებს და გადაწყვეტილებებს. 2013 წელს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს თავად კომისია. კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინაშე. კომისიის ძირითადი მიზნებია:

-  კომუნიკაციების სფეროში თანასწორუფლებიანი და კონკურენტული გარემოს შექმნა;
-  თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;
-  მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;
-  სიხშირული სპექტრის ეფექტური განაწილება;
-  მაუწყებლობის სფეროში კონკურენტული გარემოს შექმნისა და განვითარების უზრუნველყოფა, აგრეთვე, მაუწყებელთა სარედაქციო დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს სალიცენზიო პირობების დადგენა, მაუწყებლობის ლიცენზიების გაცემა / მოდიფიცირება / მოქმედების შეჩერება / განახლება / გაუქმება, მაუწყებლობის და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზაცია, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების და ნებართვების გაცემა / გაუქმება, სიხშირული სპექტრის დადგენა და განაწილება, სიხშირეების მინიჭება, სატელეკომუნიკაციო სფეროში ლიცენზიის მფლობელებს და ავტორიზებულ პირებს შორის, აგრეთვე მათსა და მომხმარებლებს შორის წარმოქმნილი დავების გადაწყვეტა, ამოწურვადი რესურსების მართვა, რადიოსიხშირული სპექტრის ოპტიმალური და ეფექტიანი განაწილება, მომსახურების ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კვლევისა და ანალიზის ჩატარება, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირების განსაზღვრა, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების სერტიფიცირების, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა, ეფექტიანი რეგულაციების დადგენა, კომისიის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხების და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობა და კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში სანქციების გამოყენება და სხვა.




ცვლილებები კომისიის შემადგენლობაში

2013 წლის 17 აპრილს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ კარლო კვიციანიშვილი დაინიშნა. ცვლილება კომისიის შემადგენლობაში მას შემდეგ განხორციელდა, რაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ – ირაკლი ჩიქოვანმა, თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ საქართველოს პრეზიდენტს განცხადებით მიმართა. 2013 წლის ივლისში ირაკლი ჩიქოვანი კომისიის წევრობის თანამდებობიდან გადადგა, რის შემდეგაც კომისიის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე ზედიზედ ორჯერ გამოცხადდა კონკურსი, თუმცა ორივე კონკურსი ჩაიშალა. 2013 წლის 1 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა კომისიის თავმჯდომარის კარლო კვიციანიშვილის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს, რასაც მოჰყვა ახლადარჩეული საქართველოს პრეზიდენტის - გიორგი მარგველაშვილის მიერ კომისიის წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება. თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებზე დაყრდნობით, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად, კომისიის უხუცესი წევრი - აკაკი სიხარულიძე დაინიშნა. კომისიის წევრის თანამდებობაზე მუშაობა გააგრძელეს სოფიო ბრიტანჩუკმა და ირაკლი მოსეშვილმა.

კომისიის სტრუქტურა

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომისიაში დასაქმებული იყო 108 ადამიანი. კომისიის სტრუქტურა ასე გამოიყურებოდა:





კომისიის ბიუჯეტი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, კომისიის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზებული პირებისა და ლიცენზიის მფლობელების მიერ გადახდილი რეგულირების საფასური.

რეგულირების საფასურის ოდენობაა:

- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0.75 პროცენტი
- მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელის ან ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0.5 პროცენტი

2013 წლის განმავლობაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დარიცხულმა შემოსავლებმა შეადგინა 8,340,548 ლარი, საოპერაციო ხარჯებმა კი 7,854,967 ლარი. 2014 წელს შემოსავლების დაგეგმილი რაოდენობა შეადგენს 8,759,900 ლარს, ხარჯების კი - 8,459,900 ლარს.

ბიუჯეტი	2013 ფაქტიური	2014 გეგმა
სულ შემოსავლები:	8,340,548	8,759,900
სულ ხარჯები:	7,854,967	8,459,900
1. ძირითადი საშუალებების შეძენა	497,308	800,000
2. საკანცელარიო, საფოსტო, პოლიგრაფიული და ჟურნალ-გაზეთების ხარჯები	30,545	65,000
3. კომუნიკაციის, ელექტროენერჯის, წყლის და ბუნებრივი აირის ხარჯები	127,819	240,000
4. ავტომანქანების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯები	100,196	230,000
5. მივლინების ხარჯები	212,984	300,000
6. საბანკო მომსახურების ხარჯები	1,889	10,000
7. კონფერენციების ჩატარების, მუშა სემინარების, კვალიფიკაციის ამაღლების, სპეციალისტთა და ექსპერტთა მომსახურებისა და სხვა ხარჯები	66,774	545,000
8. სხვადასხვა საწევრო გადასახადები	17,415	30,000
9. სამეცნიერო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯები	0	850,000
10. სხვა საერთო ხარჯები (შენობის დაცვის ღირებულება, დაზღვევა, კომისიის ვებგვერდის მომსახურება, ცვითა და ამორტიზაცია და სხვ.)	224,718	270,000
11. წარმომადგენლობითი ხარჯები	39,391	45,000
12. მიმდინარე რემონტის ხარჯები	8,642	100,000



13. შრომის ანაზღაურება	5,192,519	3,892,000
14. სახელმწიფო ბიუჯეტის ანარიცხები	1,298,130	973,000
15. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ხარჯები	564	10,000
16. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შრომის ანაზღაურების და სახ. ბიუჯეტის ხარჯები	36,073	99,900
შემოსავლების ხარჯებზე გადამეტება	485,581	300,000

თავი II. განხორციელებული სამუშაოები

2013 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გააგრძელა მუშაობა ლიცენზიების და ნებართვების გაცემის, დავების განხილვის, საერთაშორისო ურთიერთობების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, სტანდარტიზაციისა და სხვა მიმართულებებით. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებები ინტერნეტით მომსახურების საბითუმო და მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის ბაზრის დარეგულირების მიზნით, კომისიის მიერ განისაზღვრა ტელერადიომუწყებლობის პრიორიტეტები, დამტკიცდა და გამოქვეყნდა თავისუფალი სიხშირული რესურსი. ქვემოთ მოცემულ თავში განხილულია საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ გაწეული სამუშაოები.

ინტერნეტით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევა და ანალიზი

2013 წელს კომისიამ დაასრულა მუშაობა ინტერნეტმომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევასა და ანალიზზე. აღნიშნული სამუშაო მოიცავდა ორ მიმართულებას:

- ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვება
- გაფართოებული ურთიერთჩართვა

ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვება

2013 წლის 20 მარტს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის ქვესეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად შპს "კავკასუს ონლაინი", შპს "სისტემნეტი", შპს „ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“ და სს "სილქნეტი" განისაზღვრა და მათ სპეციფიკური ვალდებულებები დაეკისრა.

აღნიშნულ კომპანიებს განესაზღვრათ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებები. კერძოდ, კომპანიებს დაევალოთ გლობალურ ქსელთან დაშვების მსურველი ავტორიზებული პირებისთვის გლობალური ინტერნეტის მიწოდება ისეთი არადისკრიმინაციული და ერთგვაროვანი პირობებით (მათ შორის ტარიფები, ხარისხი, მიწოდების ვადები), რომელიც არანაკლებ ხელსაყრელი იქნება, ვიდრე საკუთარი სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის, აფილირებული ან/და სხვა ავტორიზებული



პირებისათვის. ამას გარდა, კომპანიებს დაეკისრათ გლობალური ინტერნეტის შეთავაზებების (მოწვევის ოფერტების) გამოქვეყნების ვალდებულება.

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების მიერ მოწოდებული ოფერტები გამოქვეყნდა კომისიის ვებგვერდზე.

გაფართოებული ურთიერთჩართვა

2013 წლის 16 აგვისტოს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ინტერნეტმომსახურების საბითუმო ბაზრის გაფართოებული ურთიერთჩართვის ქვესემენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად შპს „კავკასუს ონლაინ“ განისაზღვრა.

„კავკასუს ონლაინს“ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, დისკრიმინაციის აკრძალვის, სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის, ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების და დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულებები დაეკისრა. სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების ფარგლებში, „კავკასუს ონლაინს“ გაფართოებული ურთიერთჩართვისთვის ზედა ზღვრული ტარიფი (250 ლარი ერთ გბიტ/წამზე თვეში, დღგ-ს გარეშე) დაუდგინდა (აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე ზედა ზღვრული ტარიფი შეადგენდა 5000 ლარს ერთ გბიტ/წამზე თვეში, დღგ-ს გარეშე). ზედა ზღვრული ტარიფის ოდენობა დადგინდა გაფართოებული ურთიერთჩართვის დანახარჯების წარმოდგენილი გაანგარიშების შესაბამისად. ინფორმაციის გამჭვირვალობის კუთხით, კომპანიას დაეკისრა მოწვევის ოფერტის გამოქვეყნების ვალდებულება.

მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურება

2013 წლის 13 დეკემბერს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის (ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფის შემცირების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებით მობილურ ქსელში ურთიერთჩართვის მომსახურების საბითუმო ბაზრის სემენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს - შპს „მაგთიკომს“, შპს „ჯეოსელს“ და შპს „მობიტელს“ სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების მომსახურებაზე დაუდგინდათ ზედა ზღვრული ტარიფი:

კომპანიის დასახელება	2014 წლის 1 მარტიდან	2014 წლის 1 სექტემბრიდან	2015 წლის 1 მარტიდან	2015 წლის 1 სექტემბრიდან
შპს „მაგთიკომი“	6 თეთრი	5 თეთრი	4 თეთრი	3.5 თეთრი
შპს „ჯეოსელი“	6 თეთრი	5 თეთრი	4 თეთრი	3.5 თეთრი
შპს „მობიტელი“	7 თეთრი	5 თეთრი	4 თეთრი	3.5 თეთრი

ტარიფები მოცემულია დღგ-ის და აქციზის ჩათვლით

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე ურთირთხართვის მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფი შეადგენდა შპს „მაგთიკომისთვის“ 8 თეთრს, შპს „ჯეოსელისთვის“ 8 თეთრს, ხოლო შპს „მობიტელისთვის“ 11 თეთრს.







ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტები

”მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომისია ორ წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს. ამას გარდა, საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, კომისია მაუწყებლობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ წინადადებებს ამზადებს და ახორციელებს მათზე ზედამხედველობას და კონტროლს.

აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, 2013 წლის 23 აგვისტოს, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.

წარმოების ფარგლებში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დაკვეთით, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტმა (IPM) საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩატარა. კვლევა ჩატარდა 9 სამაუწყებლო ზონაში (Geo 261, Geo 259, Geo 257, Geo 258, Geo 256, Geo 255, Geo 253, Geo 252, Geo 250). გამოკითხვის შედეგების ანალიზი განხორციელდა თითოეულ სამაუწყებლო ზონაზე განცალკევებულად და ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ეროვნული მაუწყებლობისათვის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).

კვლევაში აისახა შემდეგი სახის ინფორმაცია:

-  საზოგადოების დამოკიდებულება და მოთხოვნა სათემო ტელემაუწყებლობაზე და საზოგადოების იმ ნაწილის განსაზღვრა, რომელსაც უნდა ემსახუროდეს სათემო ტელემაუწყებლობა
-  საზოგადოების დამოკიდებულება და მოთხოვნა სათემო რადიოუწყებლობაზე და საზოგადოების იმ ნაწილის განსაზღვრა, რომელსაც უნდა ემსახუროდეს სათემო რადიომაუწყებლობა
-  საზოგადოების დამოკიდებულება და მოთხოვნა კერძო სპეციალიზებულ ტელემაუწყებლობაზე
-  საზოგადოების დამოკიდებულება და მოთხოვნა კერძო სპეციალიზებულ რადიომაუწყებლობაზე
-  საზოგადოების დამოკიდებულება და მოთხოვნა კერძო საერთო ტელემაუწყებლობაზე
-  საზოგადოების დამოკიდებულება და მოთხოვნა კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას სურს სპეციალიზებული (მათ შორის ყველაზე მეტად - შემეცნებითი ტელემაუწყებლობა) ტელემაუწყებლობის დამატება. საზოგადოებას ასევე აქვს ინტერესი სათემო ტელემაუწყებლობის მიმართ, რომლის



არსებობის სურვილი საქართველოს მასშტაბით გამოკითხულთა 40%-ს აქვს. ყველაზე ნაკლები მოთხოვნა საერთო ტელემაუწყებლობაზეა. აღნიშნული შეიძლება აიხსნას საერთო მაუწყებლებების დიდი რაოდენობით (გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის საქართველოში 70-მდე საერთო მაუწყებელი იყო).

რაც შეეხება რადიომაუწყებლობის პრიორიტეტებს, ყველაზე დიდი მოთხოვნა გამოკითხულთა შორის არის სათემო რადიომაუწყებლობაზე, რასაც მოსდევს საერთო და სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა. აღნიშნული ორი კატეგორიის პრიორიტეტულობა განსხვავდება სამაუწყებლო ზონების მიხედვით.

საბოლოოდ, 2013 წლის 7 ოქტომბრის N612/22 გადაწყვეტილებით დადგინდა ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტები (იხ. დანართი 1).

მიღებული ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტები ძალაშია 2015 წლის 05 ნოემბრამდე.

თავისუფალი სიხშირული რესურსი

”რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ” კომისიის დადგენილების შესაბამისად, კომისიას 2 წელიწადში ერთხელ, ყოველი მეორე წლის პირველ მაისამდე 87.5–108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში თავისუფალი სიხშირული რესურსის განაწილების და გამოქვეყნების ვალდებულება აქვს.

2013 წლის წლის 7 მაისს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 87.5 მჰც ÷ 108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში რადიომაუწყებლობის თავისუფალი სიხშირული რესურსი დაამტკიცა (დანართი 2).

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი სიხშირული რესურსის გამოქვეყნების შემდეგ, 2013 წელს რადიო ლიცენზიების მამიებელთა განცხადებების საფუძველზე, კომისიამ რადიომაუწყებლობის ლიცენზიების მოსაპოვებლად 14 კონკურსი გამოაცხადა (დანართი 4).

2013 წლის 29 ნოემბერს, დადგენილი ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტებზე დაყრდნობით, კომისიამ 87.5 მჰც ÷ 108 მჰც სიხშირულ დიაპაზონში სათემო რადიომაუწყებლობის თავისუფალი სიხშირული რესურსი დაამტკიცა (დანართი 3).

ციფრული მაუწყებლობა

საქართველოში მიმდინარეობს მუშაობა ანალოგური მაუწყებლობიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასასვლელად. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) გადაწყვეტილებით, საქართველოსთვის და მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნისთვის ციფრულ

მაუწყებლობაზე გადასვლის ბოლო თარიღად 2015 წლის 17 ივნისი განისაზღვრა. აღნიშნული თარიღის შემდეგ არსებული ანალოგური ტელევიზიის სადგურები აღარ იქნება სამართლებრივად დაცული მეზობელი ქვეყნების მხრიდან ხელშემღებისგან.

2012 წლის ბოლოს შეიქმნა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში არიან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, სამაუწყებლო კომპანიების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე მაუწყებლობის სფეროში მომუშავე სხვა ექსპერტები. საანგარიშო პერიოდში საბჭოს არაერთი სხდომა გაიმართა.

საბჭოს მუშაობის ფარგლებში, 2013 წელს, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ჩართულობით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშავა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის სტრატეგია¹. პროცესში ჩართული იყვნენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ექსპერტები, რომლებიც „ტექნიკური თანამშრომლობა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით – საქართველო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი/ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“ პროექტის ფარგლებში ანალოგურიდან ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესში კომისიასა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უწევენ დახმარებას. პროექტის განხორციელების დროს, კომისიის შესაბამისი წარმომადგენლების მონაწილეობით, განხორციელდა ციფრული მიწისზედა სატელევიზიო პლატფორმის ფორმირებისათვის საჭირო სიხშირული რესურსის დაგეგმარება. შემუშავდა დოკუმენტები¹, რომლებიც მოიცავს ეროვნული დაფარვის მქონე ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის სავარაუდო დაგეგმარებას და ქსელის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, „სეთ-თოფ-ბოქსების“ დეტალურ ტექნიკურ მახასიათებლებს და ციფრული სამაუწყებლო ქსელების ოპერირების წესებს.

ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარების და პოტენციური პარტნიორების შერჩევის მიზნით, საანგარიშო პერიოდში კომისიის წარმომადგენლებმა ევროპის სამ ქვეყანაში – გერმანიაში (კომპანია Media Broadcast), ავსტრიასა (კომპანია ORS) და ფინეთში (კომპანია Digita) შეხვედრები გამართეს. ვიზიტების ძირითადი თემა იყო „ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პრაქტიკა და სისტემური ინტეგრატორების ტექნოლოგიური შესაძლებლობები ევროპის ქვეყნებში“.

2013 წლის 18–19 აპრილს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მონაწილეობა მიიღო ჟენევაში, ITU–ს ეგიდით გამართულ UHF–ს დიაპაზონში რადიოსიხშირული დაგეგმარების თათბირის მუშაობაში. შეხვედრა დაეთმო სატელევიზიო არხების დაგეგმარებისა და ციფრული დივიდენდის გამოყენების საკითხებს. მასში მონაწილეობას იღებდნენ შავი ზღვის, კასპიის ზღვის და ცენტრალური აზიის ქვეყნები.

¹ აღნიშნული დოკუმენტები შეგიძლიათ იხილოთ კომისიის ვებგვერდზე www.gncc.ge

ამას გარდა, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით კომისიამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სემინარსა თუ სამუშაო შეხვედრაში.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ფუნქციონირებს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური. ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს სატელეკომუნიკაციო მომსახურებებთან დაკავშირებული პრეტენზიების თუ მათი უფლებების დარღვევების არსებობის შემთხვევაში მიმართოს აღნიშნულ სამსახურს.

2013 წელს კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში სულ შესულია 143 საჩივარი, აქედან 77 წერილობითი და 66 ზეპირი (სატელეფონო) საჩივარი. ამას გარდა, სამსახურმა მომხმარებლებს ზეპირი კონსულტაციები გაუწია სხვადასხვა საკითხზე.

წერილობითი და ზეპირი საჩივრების სტატისტიკა პრეტენზიების სახეების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება¹:

თემატიკა	განცხადებების რაოდენობა	დაკმაყოფილდა	დარღვევა არ დადასტურდა	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა/ მიეცა განმარტება	სცილდება კომისიის კომპეტენციას	მიმდინარეობს მუშაობა
შეღვათები	6	3	2		1	
სპამი	8			2		6
სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაუქმება	3	3				
უხარისხო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	33	33				
სატელეკომუნიკაციო მომსახურების პირობების ცვლილება	3	2		1		
სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების დაყოვნება ან/და დაუკმაყოფილებლობა	5	3	1	1		
სატელეკომუნიკაციო მომსახურების აღდგენა	9	3	5	1		
სატელეკომუნიკაციო მომსახურების შეწყვეტა	4	4				
სატელეკომუნიკაციო მომსახურების საფასურის დარიცხვის სისწორე	9	4	4	1		
მომხმარებლის არასათანადო ინფორმირება	18	6	7	5		
პორტირება	5	4		1		
სხვა საჩივრები	42	22	3	1	13	3

¹ საჩივრების საერთო რაოდენობა და თემატიკის მიხედვით გადანაწილებული საჩივრების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგან ზოგიერთი საჩივარი ერთდღორულად რამდენიმე საკითხს ეხებოდა

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, კომისიასთან ერთად, აგრძელებდა მუშაობას სარეკლამო ხასიათის არასასურველი შეტყობინებების საკითხთან დაკავშირებით რეგლამენტში სათანადო დამატებებისა და ცვლილებების შეტანის მიზნით.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახური მუშაობდა ასევე ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიმწოდებლების მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო მომსახურებაზე აბონენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების განხილვაზე. სამსახურმა მოამზადა დასკვნა, რომელშიც შემუშავებულია კონკრეტული შენიშვნები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის შეფერხებების და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციების დროს აბონენტების ინფორმირების, აბონენტების უსაფრთხოების, აბონენტებისთვის საკუთარი ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მიწოდების და სხვა საკითხების შესახებ.

საერთაშორისო საქმიანობა

2013 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გააგრძელა აქტიური მუშაობა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

„ასოცირების შესახებ“ შეთანხმება

2013 წლის განმავლობაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აქტიურად იღებდა მონაწილეობას საქართველოსა და ევროკავშირს შორის გასაფორმებელი „ასოცირების შესახებ“ შეთანხმების შემუშავების პროცესში.

კომისიის ინტენსიური მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა და დაიხვეწა „ასოცირების შესახებ“ შეთანხმების ის ნაწილი, რომელიც ეხება თანამშრომლობას საინფორმაციო საზოგადოების სფეროში. ასევე „დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმების (DCFTA) ის ქვეთავი, რომელიც მოიცავს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და მომსახურების რეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებების პროცესში გაიმართა არაერთი პლენარული სესია, შეხვედრა და ვიდეოკონფერენცია, სადაც, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულები იყვნენ კომისიის წარმომადგენლები.

ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა გულისხმობს ამ მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირში უკვე დანერგილ და აპრობირებულ საკანონმდებლო ბაზასთან თანხვედრაში მოყვანას. კონკრეტულად კი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების ჰარმონიზაციას, როგორც არის ლიცენზირება/ავტორიზაცია, დაშვება და ურთიერთჩართვა, უნივერსალური მომსახურების დანერგვა, კონკურენციის წინასწარი რეგულირება, რადიოსიხშირული რესურსის მართვა და მისი ეფექტიანად გამოყენების

უზრუნველყოფა და ა.შ. „ასოცირების შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერით საქართველო აღნიშნული მოთხოვნების შესრულების ვალდებულებას იღებს, რომლის ფარგლებშიც უნდა დაინერგოს შემდეგი ევროდირექტივები: ჩარჩო დირექტივა, ავტორიზაციის შესახებ დირექტივა, დაშვების შესახებ დირექტივა, უნივერსალური მომსახურების შესახებ დირექტივა, პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ დირექტივა, რადიოსიხშირული სპექტრის პოლიტიკის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ დირექტივა და აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების დირექტივა.

აღნიშნული დირექტივების დანერგვა საქართველოში ხელს შეუწყობს სატელეკომუნიკაციო სფეროს შემდგომ განვითარებას, ახალი ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მომხმარებლების ხელმისაწვდომობას ხარისხიან და მრავალფეროვან მომსახურებებთან.

ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის

კომისია ასევე აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს 2013-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. 2013 წლის 17-18 ივნისს კომისიამ, ქვეყნის სხვადასხვა უწყებასთან ერთად, მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში, ქ. სტრასბურგში სამოქმედო გეგმის განხილვასთან დაკავშირებით გამართულ შეხვედრაში.

სამოქმედო გეგმა მოიცავს 2013-2015 წლებში ევროპის საბჭოს მიერ საქართველოში განსახორციელებელ პროექტებს, რომელთა მიზანია ადამიანთა უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სრულყოფილად შესრულების პროცესში საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა. მოცემული გეგმის ორი პროექტის - „*მედიის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის ხელშეწყობა*“ და „*ციფრულ ერაში ადამიანთა უფლებების დაცვისა და გამჭვირვალების უზრუნველყოფის გზით მთავრობის ანგარიშვალდებულების გაძლიერება*“ - განხორციელებაში მონაწილეობას იღებს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

სტრასბურგში ვიზიტის დროს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ზემოთ აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს კომენტარები და პრიორიტეტები წარუდგინა. ევროპის საბჭოს ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს კომისიის მიერ წარდგენილი ყველა პრიორიტეტი, რაც შემდგომში სამოქმედო გეგმის შესაბამის პროექტებში აისახა.

მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა რადიოსიხშირული რესურსების კოორდინაციის მიზნით

2013 წლის 22-24 ივლისს, ქ. ბაქოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის და საქართველოს კავშირგაბმულობის ადმინისტრაციებს შორის გამართულ შეხვედრაზე ხელმოწერილი ოქმის და 2013 წლის 3-6 ოქტომბერს ქ. ერევანში სომხეთის რესპუბლიკის და საქართველოს კავშირგაბმულობის ადმინისტრაციებს შორის გამართულ შეხვედრაზე ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (რომელის

წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ აღნიშნულ შეხვედრებში), საქართველოსათვის ახალი სიხშირული რესურსი გამოყოფის და სათანადო კოორდინაციის უზრუნველყოფის თხოვნით ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირს (ITU) მიმართა.

2013 წლის 30 ოქტომბერიდან 1 ნოემბრამე საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა თურქეთის დელეგაცია. ვიზიტის დროს ხელი მოეწერა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და თურქეთის რესპუბლიკის საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ადმინისტრაციას შორის შეხვედრის პროტოკოლს LTE ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ 790-862 მჰც სიხშირულ ზოლში. ასევე საზღვრისპირა რეგიონებში ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის სადგურებისათვის 470-790 მჰც სიხშირულ ზოლში სიხშირეების მინიჭებების/გამოყოფების შესახებ.

მარეგულირებელი ორგანოების გლობალური სიმპოზიუმი (GSR 2013)

ივლისის დასაწყისში (2–6 ივლისი) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო მარეგულირებელი ორგანოების გლობალურ სიმპოზიუმში (GSR 2013), რომელიც ვარშავაში, პოლონეთში, გაიმართა.

მარეგულირებელი ორგანოების გლობალური სიმპოზიუმი ყოველწლიური ღონისძიებაა, რომლის ინიციატორია საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების ტელეკომუნიკაციების განვითარების ბიურო (ITU/BDT). გასული წლის სიმპოზიუმის თემა იყო „მე-4 თაობის რეგულაცია: ციფრული კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობა“.





ჰულინ ჟაოს ვიზიტი საქართველოში

2013 წლის ოქტომბერში კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) გენერალური მდივნის მოადგილეს - ჰულინ ჟაოს უმასპინძლა. შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა კომისიის ანალიტიკური პორტალი. ასევე, განხილული იქნა კომისიის მიმდინარე თანამშრომლობა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანებასთან (ITU) და სამომავლო პერსპექტივები.

ITU-ს სემინარი

25–26 აპრილს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანში, ქ. ნახჭევანში გამართულ საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის ITU-ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სემინარში. სემინარის თემა იყო: „სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან“.

სემინარზე კომისიამ წარმოადგინა მოხსენება, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს:













-  საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა
-  საქართველოს ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის მიმოხილვა
-  კომისიის მიერ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სტატისტიკური ბაზის შექმნა, მისი დანერგვა, ტექნიკურ მახასიათებლები და რეგულირება
-  საპილოტე ანალიტიკური პორტალი

სემინარის დასრულების შემდეგ, ITU-ს წარმომადგენლების ინიციატივით, კომისიის ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსს სატელეკომუნიკაციო/ICT ინდიკატორების ექსპერტის (Expert on Telecom/ICT Indicators) სტატუსი მიენიჭა, რაც საქართველოს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ITU-ს სატელეკომუნიკაციო /ICT ინდიკატორების სტანდარტების შემუშავებაში.

თანამშრომლობა პოლონეთის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისთან (UKE)

2011 წელს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, კომისიამ გააგრძელა თანამშრომლობა პოლონეთის ელექტრონული კომუნიკაციების ოფისთან (UKE). თანამშრომლობის მიზანია - საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების პრინციპების მიახლოება ევროგაერთიანების მოთხოვნებთან.

2013 წელს მარეგულირებელ ორგანოებს შორის თანამშრომლობა ორ ეტაპად განხორციელდა - საექსპერტო ვიზიტები საქართველოში, სასწავლო ტურები კი პოლონეთში გაიმართა. შეხვედრებზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

-  ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა (ტექნიკური/იურიდიული საკითხები)
-  მთელი ქვეყნის ინტერნეტით მოცვა - ციფრული რუკის შედგენა
-  ოპერატორებს შორის და ოპერატორებსა და მომხმარებლებს შორის დავების დარეგულირება
-  უნივერსალური მომსახურება
-  ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტები
-  RTTE (რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარები) დირექტივაში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა
-  ბაზრის ზედამხედველობა
-  790-862 MHz სიხშირული ზოლის გამოყენების თვალსაზრისით მობილური/რადიო ნავიგაციისა და სამაუწყებლო მომსახურებებისათვის ტრანსსასაზღვრო კოორდინაციასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები
-  რადიოსიხშირული ლიცენზიების ფასების გაანგარიშება
-  კავშირის მომსახურების ხარისხის კონტროლი
-  სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, სტატისტიკური მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება
-  ანალიტიკური ვებპორტალის შექმნა

აღმოსავლეთ პარტნიორობა (EAP)

2013 წლის მარტში, ევროკომისიის ინიციატივით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა) მარეგულირებელი ორგანოებისთვის მომზადდა პროექტი “EaPeReg“ (www.eapereg.eu), რომლის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრების განვითარება და ევროკავშირის სატელეკომუნიკაციო ბაზართან მიახლოება. პროექტს PricewaterhouseCoopers სლოვაკეთი ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში მონაწილე ორგანიზაციებისთვის საინტერესო თემებზე სემინარების ციკლი დაიგეგმა. 2013 წელს 4 სამუშაო შეხვედრა ჩატარდა სატელეკომუნიკაციო ბაზრის ანალიზის, ხარჯთაღრიცხვის მეთოდოლოგიის, მობილური და ფიქსირებული ზარების დასრულების ტარიფების და უნივერსალური მომსახურების აუცილებლობის შესახებ. პირველი შეხვედრა, რომელიც ბაზრის ანალიზს ეხებოდა, თბილისში ჩატარდა.

2013 წლის ოქტომბერში, კომისიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარებულ პლენარულ შეხვედრაში. შეხვედრაზე შეჯამდა 2013 წლის მუშაობის შედეგები და დაისახა 2014 წლის სამუშაო გეგმა. აირჩა “EaPeReg” ქსელის თავმჯდომარე (უკრაინის მარეგულირებელი) და თანათავმჯდომარე (ლიტვის მარეგულირებელი). მომავალი წლისათვის ქსელის თავმჯდომარედ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია მოიაზრება.

სერტიფიცირება, სტანდარტიზაცია და კავშირის მომსახურების ხარისხი

კომისიის ერთ–ერთ ფუნქციას წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების სერტიფიცირების, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური მოწყობილობების სერტიფიცირების რეგლამენტის შესაბამისად.

2013 წლის აპრილში აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად გაიწერა კონკრეტული სამოქმედო გეგმა და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი.

2013 წელს სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის სააგენტოს სტანდარტების რეესტრში რეგისტრაციაში გატარდა და შესაბამისად, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ამოქმედდა ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) 24 სტანდარტი. სტანდარტები ეხება შემდეგ მიმართულებებს: ციფრული მაუწყებლობა - 5 სტანდარტი, რადიოსატელეფონო მოწყობილობის ელექტრომაგნიტური თავსებადობა და რადიოსიხშირული სპექტრი - 7 სტანდარტი, IMT-ფიჭური ქსელები და ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემები (ITS) - 12 სტანდარტი.

კომისიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) რიგით 61–ე და 62–ე გენერალურ ასამბლეებსა და ნაციონალური სტანდარტების ორგანოების რიგით მე–40 და 41–ე შეხვედრებში.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა „რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირებისა და სამომხმარებლო ბაზარზე დაშვების ტექნიკური რეგლამენტის“ პროექტი.

2013 წელს კომისიის მიერ შემუშავდა ასევე კავშირის მომსახურების ხარისხის ზედამხედველობის კონცეფცია და კავშირის ხარისხის მაჩვენებლების გაზომვის ჩატარების მეთოდოლოგია და ნორმები GSM/GPRS/EDGE/UMTS სტანდარტებისათვის.

შემუშავებული დოკუმენტები ეყრდნობა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების (ITU) და ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) სტანდარტებს და რეკომენდაციებს, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და მარეგულირებელი ორგანოების გამოცდილებას.

სამართლებრივი საქმიანობა

დადგენილებები

2013 წელს კომისიის მიერ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებები, რომლებიც გამოქვეყნებულია კომისიის ვებგვერდზე (www.gncc.ge):

- N1 – 2013 წლის 03 იანვარი – “სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 6 ივლისის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
- N2 – 2013 წლის 03 იანვარი – „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე”
- N3 – 2013 წლის 01 მარტი – ”რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ
- N4 – 2013 წლის 14 მარტი - „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე
- №5 - 2013 წლის 14 მარტი – „რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ
- №6 - 2013 წლის 17 ივლისი - „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე
- №7, 2013 წლის 23 აგვისტო – „მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მისაღებად ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოსადგენი ქონებრივი დეკლარაციების ფორმების დამტკიცების თაობაზე
- №8 - 2013 წლის 26 აგვისტო – „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სავალდებულო ტრანზიტის განხორციელებისას მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირის მიერ მაუწყებლის სიგნალის გავრცელებისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებების ტექნიკური მონაცემების დამტკიცების თაობაზე

- №9 - 2013 წლის 2 სექტემბერი - „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

დავების განხილვა

- 2013 წელს კომისიამ განიხილა 11 დავა (დანართი 5)

შპს „მაგთიკომსა“ და სს „სილქნეტს“, შპს „მაგთიკომსა“ და შპს „კავკასუს ონლაინს“ შორის არსებული დავა

კომისიის მიერ განხილული ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული დავა გამოძახებით აუდიო-ვიზუალური მომსახურების შეზღუდვას ეხებოდა. კომპანიები „მაგთიკომი“ და „მე-7 არხი“ (დაინტერესებული მხარე აღნიშნულ დავაში) „სილქნეტს“ და „კავკასუს ონლაინს“ გადახვევა-დაპაუზების ფუნქციის აბონენტებისთვის არამართლობიერად მიწოდების თაობაზე ედავებოდნენ. კომპანიების განცხადებით, აღნიშნული საკაბელო ოპერატორების მიერ მაუწყებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების უმეტესობა ავტორიზებულ პირებს საეთერო ბადის მხოლოდ უცვლელი სახით გადაცემის უფლებას ანიჭებდა და არა სატელევიზიო პროდუქტის მრავალჯერადად, ნებისმიერ დროს ჩვენების ნებართვას.

2013 წლის 26 ივლისს გამართულ სხდომაზე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. იმის გამო, რომ სს „სილქნეტმა“ კომისიაში წამოადგინა სამაუწყებლო არხებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელიც მათ გადახვევის ფუნქციის უფლებას ანიჭებდა, მაგთიკომის საჩივარი „სილქნეტთან“ მიმართებაში არ იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო „კავკასუს ონლაინს“ გარკვეულ სამაუწყებლო არხებთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების წარმოუდგენლობის გამო („საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი“, „საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხი“, „მზე“, „აჭარა“, „კავკასია“, „ერთსულოვნება“, „Music Box“ (თბილისი)) დაეკისრა ჯარიმა 90 000 ლარის ოდენობით. მას ასევე აეკრძალა აღნიშნული არხების დროის არარეალურ რეჟიმში ტრანსლირება.

სანქცირება¹

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა 13 მაუწყებელს (კერძო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელები ან/და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული პირები), აქედან 3 მაუწყებელს 2-ჯერ (დანართი 6)
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებულ 26 პირს, აქედან 1 ავტორიზებულ პირს 2-ჯერ (დანართი 6).

¹ მაუწყებლებისთვის და ელექტრონული კომუნიკაციებით მომსახურებაზე ავტორიზებული პირებისთვის დაკისრებული სანქციების ჯამური რაოდენობა არ ემთხვევა კომისიის მიერ გამოყენებული სანქციების ჯამურ რაოდენობას, რადგან 1 კომპანიას ერთდროულად „მაუწყებლობის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონების დარღვევის გამო დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

სანქცირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

- შპს „ფოთის ტელევიზიის მოყვარულთა კლუბისათვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ (გადაწყვეტილება N81/18)
- შპს „TV ERA“-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ ((გადაწყვეტილება N82/18)
- შპს „ორბისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ (გადაწყვეტილება N83/18)

მნიშვნელოვანი სასამართლო დავები

2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განჩინება (საქმე Nბს-177-170(კ-13) კომისიასა და შპს „სუპერ ტვ“-ს შორის არსებულ დავაზე. აღნიშნული სასამართლოს ფარგლებში ძირითად სადავო საკითხს წარმოადგენდა კომისიის უფლებამოსილება საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში, კერძოდ ის, რომ კომისიას 2006 წლის 8 დეკემბრიდან 2011 წლის 20 დეკემბრამდე არ ჰქონდა უფლებამოსილება განეხორციელებინა ავტორიზებული პირების საქმიანობის მონიტორინგი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვის კუთხით. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის მიერ სასამართლოში წარდგენილი არგუმენტაციისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ გაიზიარა კასატორი მხარის, შპს „სუპერ ტვ“-ს პოზიცია კომისიის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უფლებამოსილი იყო სადავო პერიოდში განეხორციელებინა კანონით მასზე დაკისრებული მაკონტროლებელ-მარეგულირებელი ფუნქცია და რომ კომისია სწორედ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მართლზომიერად ახორციელებდა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვაზე ზედამხედველობას და კონტროლს.

ავტორიზაცია, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობა

ავტორიზაცია

- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზაცია გაიარა 32 პირმა (დანართი 7)
- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზაცია გაიარა 72 პირმა (დანართი 7)

ავტორიზაციის გაუქმება

- ავტორიზაცია გაუქმდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებულ 2 პირს (დანართი 8)
- ავტორიზაცია გაუქმდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებულ 18 პირს (დანართი 8)

ლიცენზიების გაცემა

- გაიცა კერძო მაუწყებლობის 17 ლიცენზია (დანართი 9)
- გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 5 ლიცენზია (დანართი 9)

ლიცენზიების გაუქმება

- გაუქმდა კერძო მაუწყებლობის 2 ლიცენზია (დანართი 10)
- გაუქმდა რადიოსიხშირულისპექტრით სარგებლობის 1 ლიცენზია (დანართი 10)

ლიცენზიების მოდიფიცირება

- მოდიფიცირდა კერძო მაუწყებლობის 22 ლიცენზია (დანართი 11)
- მოდიფიცირდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 1 ლიცენზია (დანართი 11)

ლიცენზიების მოქმედების ვადის გაგრძელება

- მოქმედების ვადა გაუგრძელდა კერძო მაუწყებლობის 17 ლიცენზიას (დანართი 12)
- მოქმედების ვადა გაუგრძელდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 4 ლიცენზიას (დანართი 12)

ლიცენზიების გადაცემაზე თანხმობის მიცემა/გადაპირება

- განხორციელდა კერძო მაუწყებლობის 6 ლიცენზიის გადაცემაზე თანხმობის მიცემა (დანართი 13)
- განხორციელდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 2 ლიცენზიის გადაპირება (დანართი 13)

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვების გაცემა

- გაიცა ნუმერაციის რესურსით სარგებლობის 79 ნებართვა (დანართი 14)

არავტორიზებული საქმიანობისთვის ნებართვების გაცემა

- არავტორიზებული საქმიანობისთვის გაიცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის 260 ნებართვა

სტატისტიკური ანგარიშების ახალი ფორმა მაუწყებლებისთვის

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კომისიას დაევალა ანგარიშების ელექტრონულ ფორმებში მაუწყებლებისგან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა. კერძოდ, მაუწყებლების მიერ წარმოდგენილ ანგარიშების ფორმებში გათვალისწინებული უნდა იყოს ინფორმაცია მაუწყებლის დაფინანსების წყაროების შესახებ, მათ შორის ცალ-ცალკე რეკლამიდან, სპონსორობიდან, ტელეშოფინგიდან და მაუწყებლის მფლობელის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ განხორციელებული შემოწირულობიდან მიღებული შემოსავლის თაობაზე, ასევე ინფორმაცია მაუწყებლისთვის გაწეული მომსახურების შესახებ, მათ შორის, მაუწყებლის მფლობელის ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ გაწეული ფასიანი თუ უფასო მომსახურების თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2013 წლის 23 სექტემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სტატისტიკური ანგარიშების ახალი ფორმა დაამტკიცა. კომისიის გადაწყვეტილებით, მაუწყებლებს დაევალათ ანგარიშების ფორმების ყოველი კვარტალის დასრულების შემდეგ მომდევნო თვის 15 რიცხვამდე კომისიაში წარმოდგენა, კომისიას კი დაეკისრა იმ პირების ვინაობის გასაჯაროება, რომელთა მიერ მაუწყებელში ბოლო 3 თვის განმავლობაში განთავსებული რეკლამის ან ტელეშოპინგის, განხორციელებული სპონსორობის ან გაწეული მომსახურების ღირებულებამ ან განხორციელებულმა შემოწირულებამ შვიდი ათას ლარზე მეტი შეადგინა.

ახალი სტატისტიკური ფორმა შემდეგი სახით განისაზღვრა¹:

ფორმა 1.5 (მაუწყებლის შემოსავალი შესაბამისი წყაროების მიხედვით)

ივსება კვარტალში ერთხელ

ველი	განმარტება
თვე	კვარტლის შესაბამისი თვეები. თითოეული თვის მონაცემები ივსება ცალ-ცალკე
მაუწყებლობის სახე	ტელევიზია/რადიო
პირი	ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვისგანაც მიღებულ იქნა შემოსავალი (მათ შორის მაუწყებლის მფლობელი/მფლობელები)
მომსახურების სახეობა	რეკლამა სპონსორობა შემოწირულობა ტელეშოფინგი ინტერაქტივი განცხადებები კონტენტის რეალიზება და საეთერო დროის გაყიდვა გადაცემის განთავსება ტექნიკური მომსახურება სხვა
შემოსავალი	შესაბამისი შემოსავალი

¹ აღნიშნული ფორმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ნაწილობრივ არის შეჭერებული

წინასარჩევნო მონიტორინგი

2013 წელს 27 აპრილის პარლამენტის შუალედური (თბილისი, სამტრედია, ბაღდადი) და 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კომისიამ წინასარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგი ჩაატარა.

ორივე შემთხვევაში, სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი, საქართველოს ორგანული კანონის „სარჩევნო კოდექსის“ თანახმად, კენჭისყრამდე 50 დღით ადრე დაიწყო.

27 აპრილის პარლამენტის შუალედური არჩევნების დროს მონიტორინგი განხორციელდა 14 მაუწყებელზე, რომლებიც თბილისის, სამტრედიის და ბაღდადის ტერიტორიაზე ვრცელდება, საპრეზიდენტო არჩევნების დროს კი განხორციელდა 31 ეროვნული და ადგილობრივი მაუწყებლის მონიტორინგი.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანი იყო:

- ა) წინასარჩევნო რეკლამა
- ბ) წინასარჩევნო დებატები
- გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები
- დ) წინასარჩევნო აგიტაცია

კომისია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, აკონტროლებდა წინასარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას. საანგარიშო პერიოდში ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინასარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებული იყო სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან ბალანსის დაცვაზე, ასევე, ახალი ამბების მიუკერძოებლად და სამართლიანად გაშუქების უზრუნველყოფაზე და თითოეული კვალიფიციური სუბიექტისთვის და ასევე არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის დათმობილი საეთერო დროის სამართლიან განაწილებაზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამომიებო კომისიის საქმიანობა

2013 წლის პირველ მაისს საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის ე-2 პუნქტის და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 57-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად, შეიქმნა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამომიებო კომისია.

საგამომიებო კომისია მუშაობდა გასული წლების განმავლობაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების და სხვა ქმედებების შესასწავლად. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აქტიურად თანამშრომლობდა საგამომიებო კომისიასთან. გამოძიების პროცესში დაიკითხნენ კომისიის წევრები და კომისიის აპარატის დეპარტამენტების ხელმძღვანელები. ამას გარდა, კომისია საგამომიებო კომისიას აწვდიდა გამოძიებისთვის საჭირო დოკუმენტაციას (გადაწყვეტილებები, დადგენილებები, ოქმები, შემოსული და გასული კორესპონდენცია, ხელშეკრულებები და სხვა)

დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შესწავლის შედეგად შესამუშავებელი ანგარიშის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენა.

ანალიტიკური პორტალი

2013 წელს კომისიამ დაასრულა მუშაობა ინოვაციურ პროექტზე - ანალიტიკურ პორტალზე <http://analytics.gncc.ge>. პორტალი დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს ონლაინ რეჟიმში გაეცნონ კომისიის სტატისტიკურ ბაზაში არსებულ საჯარო ინფორმაციას. პორტალზე მოცემულია მონაცემები მობილური/ფიქსირებული ოპერატორების, ინტერნეტპროვაიდერების, მაუწყებლების და მაუწყებლობის ტრანიზიტზე ავტორიზებული პირების აბონენტების რაოდენობის, შემოსავლების, ტრაფიკების და სხვა მახასიათებლების შესახებ რეგიონულ, ტექნოლოგიურ და სხვა ჭრილებში.

აღნიშნული პროექტზე კომუნიკაციების ეროვნული კომისია 2011 წლიდან მუშაობს. <http://analytics.gncc.ge>-ზე დეტალურად არის ასახული საქართველოს სატელეკომუნიკაციო და მაუწყებლობის დარგების სტატისტიკა და ტენდენციები.

აღსანიშნავია, რომ პროექტმა მაღალი შეფასება მიიღო საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU), პოლონეთის ელექტრონული ოფისის (UKE) და სხვა ორგანიზაციების ექსპერტების მხრიდან.

იგეგმება ინფორმაციულ-ანალიტიკური პორტალის გაფართოება ინტერაქტიული ციფრული რუკით, რომელზეც სტატისტიკური ინფორმაცია დატანილი იქნება დასახლებული პუნქტების მიხედვით. ასევე იგეგმება საერთაშორისო, ზონათაშორისი და ადგილობრივ ზონაში ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური არხებისა და ამ არხებთან დაშვების შესახებ ინფორმაციის რუკაზე დატანა.

საზოგადოებასთან ურთიერთობა





საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის სოციალური ქსელების გამოყენებას აგრძელებს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ოფიციალური ანგარიში აქვს სოციალურ ქსელ „Facebook“-ზე, სადაც ინტერაქტიული და ყოველდღიური კავშირი მყარდება საზოგადოებასთან. ეს ინსტრუმენტი კომისიას ეხმარება პირველწყაროდან შეიტყოს საზოგადოების განწყობა მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მიმდინარე ამა თუ იმ მოვლენაზე. ასევე, საზოგადოებას შესაძლებლობა ეძლევა სახლიდან გაუსვლელად შეატყობინოს კომისიას საკუთარი პრეტენზია ნებისმიერი მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების მიმწოდებელი კომპანიის შესახებ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ვიდეოპორტალებზე „myvideo.ge“ და „youtube.com“, გახსნილი აქვს საკუთარი არხები, სადაც იტვირთება როგორც კომისიის შესახებ მაუწყებლების ეთერში გასული ვიდეომასალა, ასევე, კომისიის მიერ დამზადებული სარეკლამო რგოლები.

კომისია ითვალისწინებს დღეს არსებულ ცხოვრების რიტმს და საზოგადოებას სთავაზობს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში მიმდინარე მოვლენების ამსახველ ვიდეოარქივს (<http://www.myvideo.ge/gncc>, <http://www.youtube.com/gnccgeo>). საზოგადოებასთან კომუნიკაციის ეს ფორმა იმითაც არის მომხიბვლელი, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გვერდები სოციალურ ქსელებში ქვეყნის გარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, მიმდინარე მოვლენების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ; საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის კი უნიკალური შესაძლებლობაა, ყოველგვარი დამატებითი ფინანსური დანახარჯის გარეშე, შეიტყოს თუ რა საკითხია აქტუალური საზოგადოებისთვის.

თავი III. ელექტრონული კომუნიკაციების და მაუწყებლობის დარგების განვითარების ტენდენციების მიმოხილვა

2013 წელს ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებაზე ავტორიზებული პირების ერთობლივმა შემოსავალმა 1,106 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2012 წლის მაჩვენებელზე 7.2%-ით მეტია, მაუწყებლების ერთობლივმა შემოსავალმა კი 83 მლნ ლარი - წინა წლის მაჩვენებელზე 9.6%-ით ნაკლები. 2013 სატელეკომუნიკაციო მომსახურების საცალო სეგმენტიდან მიღებულმა შემოსავალმა 754 მლნ ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის მთლიანი შიდა პროდუქტის (ნომინალურ ფასებში) 2.81%-ს შეადგენს.





2013 წელს სულ 339 მოქმედი¹ ავტორიზებული პირი და მაუწყებელი დაფიქსირდა, აქედან 252-მა მხოლოდ ტელეკომუნიკაციებიდან მიიღო შემოსავალი, 61-მა მხოლოდ მაუწყებლობიდან, 24-მა კი როგორც ტელეკომუნიკაციებიდან, ისე მაუწყებლობიდან. 2-მა ავტორიზებულმა პირმა მარტო არასაკომუნიკაციო და არასამაუწყებლო შემოსავლის დეკლარირება მოახდინა.

¹ მოქმედად განვიხილავთ პირს, რომელსაც წლის განმავლობაში რაიმე სახის შემოსავალი ჰქონდა

ავტორიზებული პირების/მაუწყებლების კატეგორიების განსასაზღვრად, ტრადიციულად განვიხილავთ შემდეგ სეგმენტებს:

კატეგორია	წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი
A	100 მლნ ლარზე მეტი ან ტოლი
B	10 მლნ ლარიდან 100 მლნ ლარამდე
C	1 მლნ ლარიდან 10 მლნ ლარამდე
D	100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე
E	100,000 ლარზე ნაკლები



აღსანიშნავია, რომ 2013 წელს 100 მლნ ლარზე მეტი შემოსავალი მხოლოდ 4-მა პირმა მიიღო (A კატეგორიის კომპანიები) და მათ მიერ მიღებული ჯამური შემოსავალი მთელი შემოსავლის 72.5%-ს შეადგენს, იმ პირების ჯამური შემოსავალი კი, ვინც 2013 წელს 100,000 ლარზე ნაკლები შემოსავალი მიიღო (E კატეგორიის 194 პირი) მთელი შემოსავლების 0.6%-ს შეადგენს. ქვემოთ მოგვყავს A, B და C კატეგორიის ოპერატორების ჩამონათვალი შესაბამისი შემოსავლების მითითებით:

ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებაზე ავტორიზებული პირების და მაუწყებლების შემოსავლები¹ 2013 წელს

კომპანია	2013
A	862,391,163



¹ ელექტრონული კომუნიკაციებიდან და მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავალი დღგ-ს და აქციზის გარეშე



1	მაგთიკომი	304,477,126
2	ჯეოსელი	238,450,217
3	სილქნეტი	172,803,208
4	მობიტელი	146,660,612
B		188,673,213
5	კავკასუს ონლაინი	72,663,107
6	სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2	36,910,658
7	ახალი ქსელები	21,862,377
8	ტელეიმედი	19,126,776
9	გლობალ ერთი	17,005,703
10	ახტელი	10,841,795
11	სისტემ ნეტ	10,262,797
C		101,955,813
12	ოპტიკურ ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი	9,617,858
13	რკინიგზის ტელეკომი	8,847,673
14	საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია	8,275,815
15	სტუდია მაესტრო	6,656,639
16	სუპერ ტვ	5,175,122
17	მაიფონი	4,496,839
18	რადიო ჰოლდინგი ფორტუნა	4,225,121
19	გლობალ მედია ჯგუფი	4,110,540
20	ალექს დეველოპმენტ ჯორჯია	4,088,450
21	დელტა-ნეტი	3,707,247
22	ვიტელ ჯორჯია	3,289,739
22	Premium Net International SLR-ის ფილიალი საქართველოში	3,020,762
24	ლაგი	2,900,898
25	დელტა კომმი	2,647,168
26	ინტელ ფონი	2,548,681
27	ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი	2,522,158
28	ახალი ტექნოლოგიები	2,359,320
29	კეთილი ნების კომუნიკაციები - გუდვილკომი	2,273,974
30	ჯი ენ ენ	2,209,937
31	სამოქალაქო განათლების ფონდი	1,917,830
32	გლობალ კონტაქტ კონსალტინგი	1,841,663
33	ჯეონეთი	1,804,637
34	სერვისნეტ	1,800,624
35	პელიკომი	1,744,191
36	TV ERA	1,608,947
37	რადიო იმედი	1,305,559
38	ბლექ სი სატი	1,251,571
39	კვესი ჯგუფი	1,251,462
40	ა-ნეტი	1,246,038
41	ჯი-დი-ეს თი-ვი	1,117,172
42	ეკვანტ ჯორჯია	1,082,532
43	ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს	1,009,645

მობილური კომუნიკაციები

საქართველოში მობილური აბონენტების¹ რაოდენობამ 2013 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 4.99 მლნ აბონენტი შეადგინა. 2012 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 6.2%-ით გაიზარდა (290 ათასი აბონენტით), მობილური აბონენტების სიმკვრივემ² კი 111.4% შეადგინა.




2013 წლის ბოლოს მაგთიკომის საბაზრო წილმა მობილური აბონენტების რაოდენობის მიხედვით 42.8% შეადგინა, ჯეოსელის - 33.9%, მობიტელის - 22.6%, სილქნეტის კი 0.6%.


¹ აბონენტად განიხილება SIM ბარათი, რომლის გამოყენებითაც კვარტლის განმავლობაში ერთხელ მაინც განხორციელდა ან მიღებულ იქნა ხმოვანი ზარი, SMS, MMS, გაწეული იქნა ინტერნეტით ან სხვა დამატებითი მომსახურება, ან დაირიცხა სააბონენტო გადასახადი (კომპანიის თანამშრომლების ჩათვლით და სატესტო ბარათების ჩაუთვლელად)

² აბონენტების რაოდენობა გაყოფილი ქვეყნის მოსახლეობაზე.

მობილური ოპერატორების საბაზრო წილები აბონენტების რაოდენობის მიხედვით




მობილური ოპერატორების საბაზრო წილები აბონენტების რაოდენობის მიხედვით




მობილური ოპერატორების საცალო შემოსავალმა 2013 წელს 453.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2012 წელს მიღებულ საცალო შემოსავალზე 1.5%-ით (7.1 მლნ ლარით) ნაკლებია.

საცალო შემოსავლის 74.0% ხმოვან მომსახურებებზე მოდიოდა, SMS – 9.3%, ინტერნეტზე – 4.0%, სხვა დამატებით მომსახურებებზე¹ კი ჯამში 12.7%.

საცალო შემოსავალი (მლნ. ლარი)




საცალო შემოსავლი მომსახურების სახეების მიხედვით





თვის განმავლობაში აბონენტისგან მიღებულმა საშუალო შემოსავალმა (ARPU – Average Revenue per User, დღგ-ს და აქციზის ჩათვლელად¹) 2013 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 7.73 ლარი შეადგინა. 2012 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით იგი 71 თეთრით შემცირდა.

¹ მობილური ტელევიზია, ვიდეო-ზარი, MMS, როუმინგული მომსახურება, ქსელში ჩართვის საფასური, ა.შ.




2013 წელს ჯამურმა გამავალმა ტრაფიკმა 7.89 მლრდ. წუთი შეადგინა. 2012 წელთან შედარებით, ტრაფიკი 17.8%-ით გაიზარდა (1.19 მლრდ. წუთით). შესაბამისად გაიზარდა (MOU)² - თუ 2012 წლის მეოთხე კვარტალში იგი 125 წუთს შეადგინა, 2013 წლის მეოთხე კვარტალში მან 136 წუთი შეადგინა.





¹ ARPU-ს დაანგარიშების მეთოდი: კვარტლის განმავლობაში ოპერატორების მიერ მიღებულ საცალო შემოსავალს (დღის და აქციზის გამოკლებით) ვყოფთ კვარტალში აბონენტების რაოდენობაზე და შედეგს ვყოფთ 3-ზე

² MOU – Minutes of Use - თვეში საშუალოდ აბონენტის მიერ ნასაუბრები (იგულისხმება მხოლოდ გამავალი ზარები) წუთების რაოდენობა. გამოითვლება შემდეგნაირად: კვარტალში ჯამურად ნასაუბრები წუთები გაყოფილი კვარტალში აბონენტების რაოდენობაზე და გაყოფილი 3-ზე.

მობილური ოპერატორების გამავალი ტრაფიკის უდიდეს ნაწილს - 79%-ს - საკუთარ მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები შეადგენს. მას მოსდევს სხვა ოპერატორის მობილურ ქსელზე დასრულებული ზარები - 16.5%. ფიქსირებულ ქსელებზე დასრულებული ზარების წილი 2.5%-ია, საერთაშორისო ზარების - 1.7%. ყველა დანარჩენი ზარების წილმა სულ (ინტერაქტიული, ცხელ ხაზზე განხორციელებული უფასო ზარები) 0.2% შეადგინა.





2013 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს ფარგლებში განხორციელებული ზარების (მობილურ და ფიქსირებულ ქსელებზე დასრულებული) საშუალო ტარიფმა (ზარებიდან მიღებული შემოსავალი დღგ-ის და აქციზის ჩათვლით გაყოფილი შესაბამის ტრაფიკზე) 4.7 თეთრი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ტარიფი 16.8%-ით არის შემცირებული, რაც ოპერატორებს შორის მძაფრი კონკურენციით არის გამოწვეული.





მობილური ქსელებიდან წამოწყებულ და ოპერატორის საკუთარ ქსელში (On-net), სხვა მობილური ოპერატორის ქსელში (Other mobile) და ფიქსირებულ ქსელში (Fixed) დასრულებული ზარების საშუალო ტარიფებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. მათი მნიშვნელობები 2013 წლის მეოთხე კვარტალში შესაბამისად მობილური ოპერატორის საკუთარ ქსელში 2.9 თეთრს, სხვა მობილური ოპერატორის ქსელში 13.0 და ფიქსირებულ ქსელში 9.2 თეთრს შეადგენდა.

SMS მომსახურებით 2013 წლის მეოთხე კვარტალში აბონენტთა 70.7%-მა ისარგებლა. 2013 წელს სულ 5.6 მლრდ SMS გაიგზავნა, რაც 2012 წლის მაჩვენებელზე 909 მლნ SMS-ით (19.4%-ით) მეტია.



2013 წლის მეოთხე კვარტალში ერთი SMS-ის მომხმარებლის მიერ თვეში გაგზავნილი SMS-ების საშუალო რაოდენობამ 140 SMS შეადგინა, რაც 2012 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 7.6%-ით აღემატება.








2013 წლის მეოთხე კვარტალში ინტერნეტმომსახურებით აბონენტების 31.8%-მა ისარგებლა. მოხმარებული ინტერნეტტრაფიკის ოდენობა მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2013 წელს მან 1,589 ტერაბაიტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მონაცემს 121.7%-ით აღემატება.


გაიზარდა საშუალოდ ერთი მომხმარებლის მიერ მოხმარებული ინტერნეტტრაფიკის ოდენობა. თუ 2012 წლის ბოლოს იგი 52 მბ-ს შეადგენდა, 2013 წლის ბოლოს ამ მაჩვენებლმა 123 მბ შეადგინა (135.9%-ით მეტი). მიუხედავად მოხმარებული ტრაფიკის მნიშვნელოვანი ზრდისა, ოპერატორების მიერ მიღებული შესაბამისი საცალო შემოსავალი პრაქტიულად არ შეცვლილა და წინა წლის მსგავსად სულ 18 მლნ ლარი შეადგინა.





ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციები


საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციების ბაზარზე სამი ტექნოლოგია გამოიყენება: კომპიუტერული სადენიანი ტექნოლოგია (PSTN), CDMA (უსადენო) და VoIP (ხმოვანი კავშირი IP პროტოკოლით). 2013 წელს ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციების ბაზარზე სულ 28 კომპანია ოპერირებდა. კომპიუტერულ სადენიან ტექნოლოგიას 14 ავტორიზებული პირი იყენებდა, CDMA – 3, VoIP-ს კი 20¹.





საქართველოში ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციების აბონენტების რაოდენობამ 2013 წლის ბოლოს (მეოთხე კვარტალში) 1.2 მლნ აბონენტი შეადგინა. 2012 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 6.3%-ით (80 ათასი აბონენტი) შემცირდა. ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციების აბონენტების სიმკვრივემ² 94.1% შეადგინა.

¹ ზოგიერთი კომპანია ერთდროულად რამდენიმე ტექნოლოგიას იყენებს. შესაბამისად, ტექნოლოგიების მიხედვით ოპერატორთა რაოდენობის ჯამი არ უდრის სულ მოქმედი ოპერატორების ჯამს


² ფიქსირებული სატელეფონო კომუნიკაციების აბონენტების რაოდენობის შეფარდებულაა შინამეურნეობათა რაოდენობაზე



კომპიუტერული სადენიანი ტელეფონის აბონენტთა რაოდენობა მეტნაკლებად სტაბილურია. 2013 წლის ბოლოს მან 565 ათასი აბონენტი შეადგინა. 2012 წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 2.4%-ით (14 ათასი აბონენტით) შემცირდა.





კომპიუტერული სადენიანი აბონენტების 79.3% თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავშია თავმოყრილი. სატელეფონო სიმკვრივე საქართველოში არათანაბრად არის განაწილებული. იგი საკმაოდ მაღალია ქვეყნის დიდ ქალაქებში, მაგრამ ძალზე დაბალია სხვა დასახლებულ პუნქტებში. მაგალითად, თბილისში იგი 108.5%-ს შეადგენს, ქუთაისში - 102.0%-ს, ბათუმში 93.6%-ს, მაშინ როცა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ზუგდიდის გამოკლებით) იგი 2.1% შეადგენს, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში კი 2.9%-ს. მთლიანად საქართველოში კომპიუტერული სადენიანი ტელეფონის სიმკვრივე 45.0%-ია.



CDMA აბონენტების რაოდენობა 2012 წლამდე სტაბილურად იზრდებოდა, 2012 წლიდან კი კლების ტენდენცია აღინიშნება. თუ 2011 წლის ბოლოს 734 ათასი CDMA აბონენტი ფიქსირდებოდა, 2013 წლის ბოლოს ამ მაჩვენებელმა 595 ათასი აბონენტი შეადგინა (18.9%-ით ნაკლები).

VoIP ტექნოლოგია საქართველოში ჯერ-ჯერობით სუსტად არის განვითარებული, თუმცა გამოკვეთილი ზრდის ტენდენცია ფიქსირდება. 2013 წლის მეოთხე კვარტალში სულ 40 ათასი VoIP აბონენტი იყო, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 53.8%-ით მეტია (14 ათასი აბონენტით).

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ჯამური საცალო შემოსავალი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2013 წელს საცალო შემოსავალმა სულ 79.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 17.3%-ით ნაკლებია (16.6 მლნ ლარით).





2011-2013 წლებში კომპუტირებადი სადენიანი ტელეფონიის შემოსავლები მცირდებოდა. 2013 წელს საცალო შემოსავალმა სულ 50.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 10.3%-ით ნაკლებია (5.8 მლნ. ლარით).

2013 წელს ასევე შემცირდა CDMA ტელეფონიის საცალო შემოსავალი. თუ 2012 წელს CDMA ტელეფონიის საცალო შემოსავალი 34.7 მლნ ლარს შეადგენდა, 2013 წელს მან 23.0 მლნ ლარი შეადგინა (33.7%-ით ნაკლები).

VoIP ტელეფონიის საცალო შემოსავალი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2013 წელს მან 5.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 18.0%-ით (0.9 მლნ ლარით) მეტია.

ფიქსირებული კომუნიკაციების გამავალი ტრაფიკი 2013 წელს შემცირდა. თუ 2012 წელს იგი 2.59 მლრდ. წუთს შეადგენდა, 2013 წელს მან 2.05 მლრდ შეადგინა (20.8%-ით ნაკლები).




კომპუტირებადი სადენიანი ტელეფონიის გამავალმა ტრაფიკმა 2013 წელს 1.35 მლრდ წუთს შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13.7%-ით ნაკლებია (215 მლნ წუთით). CDMA ტელეფონიის გამავალმა ტრაფიკმა კიდევ უფრო მეტად მოიკლო: თუ 2012 წელს მან 945 მლნ წუთი შეადგინა, 2013 წელს იგი 607 მლნ წუთი იყო (35.8%-ით ნაკლები).

VoIP ტელეფონიის გამავალმა ტრაფიკმა 2013 წელს მოიმატა. მან 89 მლნ წუთი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 11.2%-ით მეტია.

კომპუტირებადი სადენიანი ტელეფონიის ბაზრის ძირითადი მოთამაშეები არიან: სილქნეტი, ახალი ქსელები, ახტელი და საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია (CGC). საქართველოს მასშტაბით, სილქნეტი აბონენტების 63.2%-ს ფლობს, ახალი ქსელები -


19.6%-ს, ახტელი - 11.4%-ს, CGC 3.9%-ს, სხვა დანარჩენი ოპერატორები კი ჯამში 1.8%-ს ფლობენ. ოპერატორების აბონენტთა რაოდენობა და, შესაბამისად, საბაზრო წილები, სტაბილურია. აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი ქსელები, ახტელი და CGC ურთიერთდამოკიდებული აფილირებული პირები არიან.



CDMA ტელეფონიის ბაზარზე სამი ოპერატორია წარმოდგენილი: მაგთიკომი, სილქნეტი და ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს (GTC). მაგთიკომი, აბონენტების რაოდენობის თვალსაზრისით, ბაზრის 90.6%- ფლობს, სილქნეტი - 9.4%-ს, GTC კი 0.1%-ს.

VoIP ტელეფონიის ბაზარზე სულ 20 კომპანია ოპერირებს. მათ შორის ყველაზე მეტი აბონენტი სილქნეტს ჰყავს. იგი ბაზრის 48.1%-ს ფლობს. მას მოსდევს ჯეონეთი - 29.6%, მაიფონი - 8.9%, კავკასუს ონლაინი - 4.5%. დანარჩენი ოპერატორების წილი ჯამში 8.8%-ს შეადგენს.




VoIP აბონენტების რაოდენობა ოპერატორების მიხედვით





ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურება

საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 2013 წლის ბოლოს, 579 ათასი აბონენტი შეადგინა. 2012 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 26.0%-ით (120 ათასი აბონენტით) გაიზარდა. ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების სიმკვრივემ¹ 45.4% შეადგინა.




¹ ფიქსირებული ფართოზოლოვანი აბონენტების რაოდენობის შეფარდება შინამეურნეობათა რაოდენობაზე




ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურებიდან მიღებული საცალო შემოსავალი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2013 წელს საცალო შემოსავალმა 140.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2012 წლის მაჩვენებელზე 16.7%-ით (20.1 მლნ. ლარით) მეტია. კლების ტენდენციით ხასიათდება ერთი ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტიდან მიღებული საშუალო შემოსავლის (ARPU) მნიშვნელობა. 2013 წლის ბოლოს მან 21.39 ლარი შეადგინა.

საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების უმეტესი ნაწილი 2013 წელს უკვე ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიას იყენებდა (42.5%). შემდეგ ადგილზე არის DSL მომსახურება - 38.1%, HSPA/EVDO¹ მოდელები - 9.2%, WiFi - 7.8% და WiMax - 1.9%. ყველა დანარჩენი სახის ტექნოლოგიებს (Canopy, Ethernet, გამოყოფილი ხაზი, თანამგზავრი) ჯამში ფართოზოლოვანი აბონენტების საერთო რაოდენობის 0.5% ეკავათ.

2013 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, ოპტიკურ-ბოჭკოვან მომსახურებას 17 ავტორიზებული პირი ეწეოდა, DSL მომსახურებასაც 17 პირი, HSPA/EVDO ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მოდელებით მომსახურებას - 2 პირი, WiMax - 4 პირი, WiFi - 112 პირი.



¹ იგულისხმება USB მოდელები, რომლებიც ერთდროულად ან დამოუკიდებლად EVDO და HSPA ტექნოლოგიითაა აღჭურვილი



DSL ტექნოლოგიით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობამ 2013 წლის ბოლოს 220 ათასი აბონენტი შეადგინა. 2012 წლის ბოლოსთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 4.1%-ით (8600 აბონენტი) გაიზარდა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელით მომსახურების მიმღები აბონენტების რაოდენობის ზრდის ტემპი შედარებით მაღალია. 2013 წლის ბოლოს 246 ათასი ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტი დაფიქსირდა, რაც 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 35.9%-ით (65 ათასით) მეტია.

EVDO და/ან **HSPA** ტექნოლოგიით აღჭურვილი USB მოდემების რაოდენობამ 2013 წლის ბოლოს 53 ათასი აბონენტი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 33.3%-ით (13 ათასით) მეტია.


ზრდის ტენდენციით ხასიათდება **WiMax** ტექნოლოგია. აბონენტების რაოდენობამ 2013 წლის ბოლოს 10.9 ათასი აბონენტი შეადგინა, რაც 2012 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 25.3% ით მეტია.


განსაკუთრებული ზრდა ფიქსირდება **WiFi** ტექნოლოგიის ბაზარზე. WiFi მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 2013 წლის მეოთხე კვარტალში 46.4 ათასი აბონენტი შეადგინა. 2012 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 162.9%-ით (28.8 ათასი აბონენტი) გაიზარდა.

DSL ტექნოლოგიით ინტერნეტმომსახურება გეოგრაფიისა და ოპერატორების ჭრილში

2013 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, საქართველოში სულ 220 ათასი DSL აბონენტი იყო. აბონენტების 41.2% (91 ათასი აბონენტი) თბილისშია თავმოყრილი, ქუთაისში - 11.7% (26 ათასი), ბათუმში - 11.0% (24 ათასი აბონენტი), რუსთავში - 1.9% (4.1 ათასი), ფოთში - 2.8% (6.3 ათასი აბონენტი), დანარჩენ საქართველოში კი სულ 31.4% (69 ათასი აბონენტი).

აბონენტების 75.3%-ს სილქნეტი ფლობს, ახალი ქსელები - 13.9%-ს, ახტელი - 6.3%-ს, კავკასუს ონლაინი - 2.3%-ს, საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია (CGC) - 0.9%-ს, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 1.4%-ს შეადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ ახალი ქსელები, ახტელი და CGC ურთიერთდამოკიდებულ აფილირებული პირები არიან.







ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურება გეოგრაფიისა და ოპერატორების ჭრილში

2013 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემებით, საქართველოში სულ 246 ათასი ოპტიკურ-ბოჭკოვანი აბონენტი იყო. მათი 80.8% (198 ათასი აბონენტი) თბილისში იყო თავმოყრილი, რუსთავეში - 10.3% (25 ათასი), ბათუმში - 4.4% (11 ათასი აბონენტი), სხვა დასახლებულ პუნქტებში კი იგი ნაკლებად არის გავრცელებული - 4.4% (სულ 11 ათასი აბონენტი).


აბონენტების 60.1%-ს კავკასუს ონლაინი ფლობდა, სილქნეტი - 23.1%-ს, კავკასიის ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია - 8.1%-ს, ა-ნეტი - 3.7%, ახალი ქსელები - 2.6%, დელტა-ნეტი - 1.3%, აბტელი - 0.6%, ყველა სხვა ოპერატორის წილი კი ჯამში 0.4%-ს შეადგენდა.



EVDO/HSPA და WiMax ტექნოლოგიით ინტერნეტმომსახურებები ოპერატორების ჭრილში

2013 წლის ბოლოს მდგომარეობით, საქართველოში სულ 53 ათასი EVDO/HSPA (EVDO და/ან HSPA ტექნოლოგიით აღჭურვილი მოდემის მქონე) აბონენტი ფიქსირდებოდა. ამ აბონენტებს პრაქტიკულად მხოლოდ მაგთიკომი ფლობს. სილქნეტს სულ 305 აბონენტი ჰყავს.



რაც შეეხება WiMax მომსახურებას, 2013 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, საქართველოში სულ 10.9 ათასი WiMax აბონენტი იყო. WiMax მომსახურების ბაზარზე ყველაზე მეტი აბონენტი ვიტელ-ჯორჯიას ჰყავს - 88.6% (9.6 ათასი აბონენტი), სერვისლაინს - 11.2% (1213 აბონენტი), Black Sea Telecom-ს - 30 აბონენტი.



WiFi მომსახურება

WiFi მომსახურება საქართველოში ყველაზე სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგიაა. აღსანიშნავია, რომ იგი ძირითადად რეგიონებში ვითარდება, იქ, სადაც სადენიანი ინტერნეტი ნაკლებად არის ხელმისაწვდომი. საქართველოს 10 უდიდეს ქალაქში (თბილისი, ხაშური, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი, გორი, სენაკი, სამტრედია და ზუგდიდი) WiFi აბონენტების წილი მხოლოდ 27%-ს შეადგენს.

ნიშანდობლივია, რომ სხვა ტექნოლოგიებისგან განსხვავებით, WiFi ბაზარზე მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მქონე გამოკვეთილი ოპერატორი არ არის. ბაზარზე 112 მცირე კომპანია ოპერირებს, რომელთაგან ყველაზე დიდის საბაზრო წილი 10.6%-ს შეადგენს (გლობალკომი).





სატელეფონო ნომრების პორტაბელურობა

მობილური ნომრის პორტაბელურობის მომსახურების დანერგვიდან (2011 წლის 15 თებერვლიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) სულ 297.7 ათასი ნომრის პორტირება განხორციელდა. 2011-2013 წლებში პორტირების შედეგად ყველაზე მეტი აბონენტი მაგთიკომმა მიიღო - 190.8 ათასი, მას მოსდევს ჯეოსელი - 60.7 ათასი, მობიტელი - 46.0 ათასი და სილქნეტი - 126 აბონენტი. აღსანიშნავია, რომ პორტირების შედეგად მიღებული და დაკარგული აბონენტების რაოდენობის ბალანსის (სხვაობის) მიხედვით, მაგთიკომმა 120.7



ათასი შეიძინა, მობიტელმა - 6.9 ათასი, სილქნეტმა 13 აბონენტი, ჯეოსელმა კი 127.6 ათასი აბონენტი დაკარგა.




აღსანიშნავია, რომ 2013 წელს პორტირებული მობილური ნომრების მკვეთრი ზრდა განპირობებულია 2013 წლის პირველ კვარტალში ჯეოსელიდან მაგთიკომში სამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლების ნომრების მასიური პორტირებით, რაც მაგთიკომის მიერ 2013 წელს სამთავრობო სტრუქტურებისთვის გამოცხადებულ ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებით იყო გამოწვეული.



ფიქსირებული ნომრის პორტაბელურობის მომსახურების დანერგვიდან (2011 წლის 1 დეკემბრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) სულ 4,045 ნომრის პორტირება





განხორციელდა. ყველაზე მეტი პორტირება სილქნეტში მოხდა - 1,437 ნომერი, მას მოსდევს ჯეონეთი - 1,045 ნომერი. სხვა ქსელზე პორტირებული ნომრების რაოდენობის თვალსაზრისითაც სილქნეტი ლიდერობს. მისი ქსელი 2,258-მა ნომერმა დატოვა, მას მოსდევს მაგთიკომი - 838 ნომერი. მიღებული და დაკარგული ნომრების სხვაობის თვალსაზრისით ყველაზე მეტი ნომერი ჯეონეთმა შეიძინა - 1,036 ნომერი, ყველაზე მეტი ნომერი კი მაგთიკომმა დაკარგა - 827 ნომერი.




მაუწყებლობის ტრანზიტი

საქართველოში მაუწყებლობის ტრანზიტის მიმწოდებელი ოპერატორების აბონენტების რაოდენობა სტაბილურად იზრდება. 2013 წლის ბოლოს სულ 362.4 ათასი აბონენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 39.6%-ით (102.8 ათასი აბონენტით) მეტია. მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების სიმკვრივემ¹ 28.4%-ს შეადგინა.



სტაბილურად იზრდება მაუწყებლობის ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი. 2013 წელს მან 45.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 52.5%-ით მეტია (15.8 მლნ ლარი).

¹ მაუწყებლობის ტრანზიტორების აბონენტების რაოდენობის შეფარდება ქვეყანაში შინამეურნეობათა რაოდენობაზე



2014 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებით, საქართველოში მაუწყებლობის ტრანზიტის მისაწოდებლად ყველაზე ხშირად თანამგზავრული კავშირი გამოიყენება. ამ ტექნოლოგიებით მოსარგებლე აბონენტების წილი 2013 წლის მეოთხე კვარტალში 29.6%-ს შეადგენდა. მას მოსდევს კოაქსიალური კაბელის გამოყენებით მიწოდებული მაუწყებლობის ტრანზიტი - 27.9%, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით - 21.7%, xDSL ტექნოლოგიით - 9.3%, რადიოსიხშირული - 11.1%



2013 წელს მნიშვნელოვანად გაიზარდა **თანამგზავრული** მაუწყებლობის ტრანზიტის მომხმარებელთა რაოდენობა. 2013 წლის მეოთხე კვარტალში ასეთი აბონენტების რაოდენობამ 107.4 ათასი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 225.5%-ით (74.4 ათასი აბონენტით) მეტია.

მაუწყებლობის ტრანზიტის **კოაქსიალური** ტექნოლოგიის გამოყენებით მიმღებ აბონენტთა რაოდენობა სტაბილურია. 2013 წლის მეოთხე კვარტალში სულ 101.1 ათასი აბონენტი დაფიქსირდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდზე 3.0%-ით (3.1 ათასი) აბონენტით ნაკლებია.



მცირედ გაიზარდა **ოპტიკურ-ბოჭკოვანი** მაუწყებლობის ტრანზიტის მომხმარებელთა რაოდენობა. 2013 წლის მეოთხე კვარტალში ასეთი აბონენტების რაოდენობამ 78.5 ათასი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 6.9%-ით (5.1 ათასი აბონენტით) მეტია.


სტაბილურია **xDSL** ტექნოლოგიის გამოყენებით მაუწყებლობის ტრანზიტის მიმღებ აბონენტთა რაოდენობა. მათი რაოდენობა 2013 წლის მეოთხე კვარტალში 33.6 ათასს შეადგენდა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.3%-ით ნაკლებია.

გაიზარდა **რადიოსიხშირული** ტექნოლოგიის გამოყენებით მაუწყებლობის ტრანზიტის აბონენტთა რაოდენობა. 2013 წლის მეოთხე კვარტალში მათი რაოდენობა 40.3 ათასი იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 163.4%-ით მეტია (25 ათასი აბონენტი).



ქალაქების მიხედვით განსხვავებულია მაუწყებლობის ტრანზიტისთვის გამოყენებული ტექნოლოგიების წილობრივი განაწილება. მაგალითად, თბილისში აბონენტთა უმრავლესობა ოპტიკურ-ბოჭკოვან ტექნოლოგიას იყენებს (42.4%), მაშინ როცა ქუთაისში, ბათუმსა და რუსთავში ყველაზე გავრცელებული ტექნოლოგია კოაქსიალური კაბელია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ოპერატორი ტექნიკური მიზეზების გამო ვერ გვაწვდის თანამგზავრული ტექნოლოგიით მოსარგებლე აბონენტების განაწილებას გეოგრაფიის მიხედვით, რაც შეუძლებელს ხდის კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტში თანამგზავრული ტექნოლოგიით მოსარგებლე აბონენტების რაოდენობის და, შესაბამისად, ამ ტექნოლოგიის წილის განსაზღვრას.







მაუწყებლობა


სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2013 წელს 74.2 მლნ ლარი შეადგინა. 2012 წელთან შედარებით სამაუწყებლო შემოსავლების 10.2%-ით (8.4 მლნ ლარი) კლება დაფიქსირდა. შემოსავლის ძირითად წყაროს რეკლამიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს, რომელიც 2010-2013 წლებში წელიწადში სტაბილურად 52-56 მლნ ლარის ფარგლებში მერყეობს.


რადიო მაუწყებლობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2013 წელს 9.2 მლნ შეადგინა - 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 4.4%-ით ნაკლები. შემცირდა რადიო რეკლამიდან მიღებული შემოსავალიც - თუ 2012 წელს ამ მაჩვენებელმა 6.7 მლნ ლარი შეადგინა, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 5.8 მლნ ლარი იყო (13.1%-ით ნაკლები).



სატელევიზიო მაუწყებლობიდან მიღებული შემოსავლების ოდენობის მიხედვით 2013 წელს ყველაზე დიდი წილი რუსთავი 2-ს ეკავა - 49.7%. მას მოსდევდა ტელეიმედი - 25.8%, სტუდია მაესტრო - 7.8%, გლობალ მედია ჯგუფი - 5.5%. სხვა მაუწყებლების ჯამურმა წილმა 11.2% შეადგინა.

რაც შეეხება რადიომაუწყებლობას, შემოსავლების თვალსაზრისით 2013 წელს ყველაზე დიდ წილს რადიო ჰოლდინგი ფორტუნა ფლობდა - 46.0%, რადიო იმედი - 14.0%, სხვა რადიოები კი ჯამში ბაზრის 40% ფლობდნენ.





თავი IV. კომისიის შემდგომი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები


ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროების რეგულირება მრავალსპექტიან, დინამიურ და კომპლექსურ საქმიანობას წარმოადგენს, სადაც კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა სატელეკომუნიკაციო ბაზრის წარმატებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის საწინდარს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კომისიის მთავარი მიზნის განხორციელებას; კერძოდ ხარისხიან, მრავალფეროვან და ინოვაციურ მომსახურებათა სახეებზე მომხმარებლების გონივრულ ფასად და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე წვდომის უზრუნველყოფას.

ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში არსებულმა ტენდენციამ - სატელეკომუნიკაციო მომსახურებათა, პლატფორმათა, ტექნოლოგიათა და სამომხმარებლო ტერმინალთა კონვერგენციის პროცესმა - რადიკალურად შეცვალა, როგორც სხვადასხვა სახის სატელეკომუნიკაციო მომსახურების აბონენტებისათვის მიწოდების ტრადიციული შესაძლებლობები, ასევე მთლიანად სატელეკომუნიკაციო სექტორის ბიზნეს მოდელი და ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის ბაზარზე არსებული თამაშის წესები; აღნიშნული, თავის მხრივ, კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის რეგულირების პროცესს და საჭიროებს, როგორც ფართოზოლოვანი ქსელების გაჩენით გამოწვეული შეცვლილი ბიზნეს და კონკურენციის მოდელის შესაბამისი მარეგულირებელი ზომების გატარებას ასევე, ფართოზოლოვანი ქსელებისა და მომსახურებების შემდგომი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმების დანერგვას.


ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები




ფართოზოლოვანი ქსელების დანერგვის ხელშეწყობა და კონკურენციის უზრუნველყოფა



რადიოსიხშირული რესურსის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა



ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე მიგრაციის ხელშეწყობა და ტელე-მაუწყებლობის ბაზრის რეგულირება



მომხმარებლების ინტერესების დაცვა და ადეკვატურად ინფორმირების ხელშეწყობა

ფართოზოლოვანი ქსელების დანერგვის ხელშეწყობა და კონკურენციის უზრუნველყოფა

ბოლო წლების განმავლობაში, მსოფლიოს მასშტაბით, ძირითადი ყურადღება ექცევა ახალი თაობის, ფართოზოლოვანი შესაძლებლობის მქონე (ფიქსირებული და მობილური) ქსელების (NGN) დანერგვის ხელშეწყობას. ფართოდ აღიარებულია, რომ ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება და მომსახურების ხელმისაწვდომობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ასპარეზზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის კატალიზატორს წარმოადგენს. მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ კვლევაში ნაჩვენებია, რომ დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში ფართოზოლოვანი მომსახურების სიმკვრივის (პენეტრაციის) ყოველი 10%-იანი ზრდა უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის 1.38%-ით ზრდას.

შესაბამისად, ფართოზოლოვანი შესაძლებლობების მქონე ქსელების დანერგვის ხელშეწყობა კომისიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგულირებისას მთავარი სირთულე სწორედ იმ „ოქროს შუალედის“ მოძებნაა, რომელიც ერთი მხრივ, ბაზარზე შესვლის დაბრკოლების მინიმუმამდე დაყვანითა და მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირების ადეკვატური და თანაზომადი რეგულირებით და მეორე მხრივ, მინიმალური ჩარევითა და ოპერატორების მიერ ჩადებულ ინვესტიციაზე გონივრული უკუგების მიღების შესაძლებლობით უზრუნველყოფს ადეკვატური კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, ინვესტიციების განხორციელების წახალისებასა და ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მომსახურებების დანერგვის ხელშეწყობას.

რაც შეეხება მობილურ/უსადენო ბაზარზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობასა და ინფრასტრუქტურულ დონეზე კონკურენციის უზრუნველყოფას, მოცემული დაკავშირებულია შესაბამისი "ხარისხისა" (ევროპის ფარგლებში ჰარმონიზებული) და რაოდენობის სიხშირულ რესურსზე ოპერატორების ხელმისაწვდომობასთან. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ ფიქსირებულ ფართოზოლოვან დაფარვასთან დაკავშირებით რეგიონებში და სოფლებში არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივას, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება მობილური/უსადენო ფართოზოლოვანი მომსახურების განვითარების ხელშეწყობის საჭიროება, რადგან ახალი თაობის მობილური ტექნოლოგიები მაღალსიჩქარიანი და დაბალფასიანი ფართოზოლოვანი მომსახურების ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიწოდების შესაძლებლობას იძლევა.

როგორც ცნობილია, კომისამ გამოაქვეყნა საკონსულტაციო დოკუმენტი, სადაც განხილულია მობილური ფართოზოლოვანი ქსელების დანერგვისა და ინფრასტრუქტურულ დონეზე მობილურ ფართოზოლოვან ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობის კუთხით კომისიის ხედვა, რომლის განხორციელებაც იგეგმება უახლოეს მომავალში და რომელიც თავის მხრივ, უკავშირდება კომისიის ძირითადი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, კერძოდ, რადიოსიხშირული რესურსის ეფექტიანად მართვის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად შესაბამისობაშია 2002 წლის ევროდირექტივებთან, თუმცა იგი არ ითვალისწინებს 2002 წლის შემდგომ კონკურენციის წინასწარ რეგულირებასთან დაკავშირებით ევროდირექტივებში შეტანილ ზოგიერთ ცვლილებასა და ევროკომისიის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს. „ასოცირების შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად, საქართველო იღებს ვალდებულებას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები ეტაპობრივად მოიყვანოს შესაბამისობაში ევროკავშირის ფარგლებში არსებულ რეგულაციებთან.

რადიოსიხშირული რესურსის ეფექტიანი მართვა

ფართოზოლოვან მომსახურებაზე მზარდმა მოთხოვნამ, რასაც მოწმობს მობილური ინტერნეტის ტრაფიკის სწრაფი ზრდა, მსოფლიოს მასშტაბით დღის წესრიგში დააყენა რადიოსიხშირული რესურსის მართვისა და განაწილების მიმართ სტრატეგიული, მომავალ პერიოდზე ორიენტირებული და მოქნილი მიდგომის შემუშავების აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული სიხშირული რესურსის ეფექტიანად და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გამოყენებას.

მოცემული ტენდენციების გათვალისწინებით, კომისიამ დაიწყო მუშაობა რადიოსიხშირული რესურსის (ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად) განაწილების საკითხზე, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილი საქმიანობა მოიცავს:

ა) GSM და UMTS ტექნოლოგიებისათვის განკუთვნილი სიხშირული დიაპაზონების ლიბერალიზაციას, რაც საშუალებას მისცემს შესაბამისი რესურსით სარგებლობის უფლებების მქონე პირებს, უზრუნველყონ (არსებული ტექნოლოგიების პარალელურად ან მის ნაცვლად) ახალი მობილური ტექნოლოგიების დანერგვა;

ბ) ევროპის მასშტაბით ჰარმონიზებული პრიორიტეტული დიაპაზონების მობილური ფართოზოლოვანი ტექნოლოგიებისათვის განაწილებასა და მობილური ტექნოლოგიებისათვის განკუთვნილი დიაპაზონების განაწილების გეგმის ევროპულ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანასა და ოპტიმიზაციას, რათა ევროპის დონეზე მობილური/უსადენო ტექნოლოგიებისათვის ჰარმონიზებულ დიაპაზონებში ადეკვატური რაოდენობის სიხშირული რესურსი ხელმისაწვდომი გავხადოთ ახალი თაობის მობილური (ფართოზოლოვანი) ტექნოლოგიებისათვის.

